



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 337/3

04/12/2017

საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების, 278-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 16 ნოემბრის №18351 წარდგინების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის დებულება (თან ერთად).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის აპარატის საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №142/3 ბრძანება.

3. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 7 დეკემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე